



# ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

### დაბა ქედა

N 16  
19/05/2020

16-04-4-202005191230



#### **ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს (ლევან გორგილაძე) შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-ს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, 15 (თხუთმეტი) წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, შემდეგი უძრავი ქონების გადაცემაზე, **კერძოდ:**

ა) ქედის მუნიციპალიტეტის, სოფელ ქედა მახუნცეთში მდებარე 1220 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ 21.01.37.471);

ბ) ქედის მუნიციპალიტეტის, სოფელ დანდალოში მდებარე 702 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ 21.09.34.236) არსებული ორი ერთეული შენობა-ნაგებობის №1 – 43.2 კვ.მ საერთო ფართი და №2 – 21.06 კვ.მ საერთო ფართი;

გ) ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედა მახუნცეთი, მე-5 ქუჩა I- ჩიხი №1-ში (პარკი) მდებარე 9024,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ21.01.37.327) არსებული არასაცხოვრებელი დანიშნულების სამი ერთეული შენობა-ნაგებობა - კერძოდ: №01/1 საერთო ფართი – 217.5 კვ.მ; №02/1 საერთო ფართი – 72.1 კვ.მ და №03/1 საერთო ფართი – 47.0 კვ.მ.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 აპრილი №13 განკარგულება.

3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.

4. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მ. სალაძემ.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

6. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

შუქრი თურმანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე



